ნიანგი

ISSN 0132-6015

3 '84

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოდი, ესენი მწვადებიანად შევახრამუნოთ, ჩვენც გავძღებით და კოლმეურნეობის ფარაც გაწყვეტას გადაურჩება!

ნახ. ჯ. ლოლუასი

ნოღაეთის გზა-ჯვარედინები

თბილისიდან გასვლა მიხარდა!.. მხოლოდ ახლა მივხვდი ქალაქში უმორჩო ცხოვრებით ჩამჯანარ სიხარულს შემოქმედი კაცისას, რომელიც სამოგზაურო მიეშურეხა. ვიფიქრე, თუ ქალაქიდან გასვლა ასე ადაგზნებთ შემოქმედებს, რომელთა უმრავლესობა წარმოშობით სოფლებიდანაა (ისე კი, მგონი, ყველანი სოფლებიდანა ვართ), უფრო ხშირად უნდა იარონ!.. მოკლედ, მიხარდა!.. გზის სილამაზეს ხომ მთლად გადამრია — კიდევ ერთხელ ენახე სვეტიცხოველი, ანანური, ეცეხლის ჯვარი, ლომის, ჯვრის უღელტეხილის ჯვარი, სტეფანწმინდა, რამდენიმე ეკლესია და ციხე, რომელთა სახელები, გამოიტყდებით, არ ვიცი და, მგონი, მრავალმა თქვენგანმაც არ იცის!

დარიალის ხეობამ ისე არ გამოაცა, როგორც კანდელი ტურისტი, მაგრამ მაინც სინანულით (ერთგვარი კი არა, ორგვარი სინანულით) შევავლე თვალი ძველი ქართული ციხის ნანგრევებს, რომლის შემდეგ ერთმანეთს მოაყვა სოფლები: ლარჩი (რა მშვენიერი სახელია!), **ჩმი** (რომელშიც ერთი ასო-ბგერა, კერძოდ „ე“ ნაღდად დაკარგულია და, ფილოლოგებო, ჰა ბურთი, ჰა მოეგანი! ესეც თქვენი სადისერტაციო თემა ნაცვალსახელ „ჩემი“-ს შესახებ), დაბოლოს, სოფელი ბალთა, სადაც უკვე ნაღდად გრძნობ დარიალის ხეობის დასასრულს!..

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით კი „**ბალთა ეწოდების** ხრმლის სარტყელზე და გინა ქარქაშის **სარტყელზედ და მისთანათა ვეფსნი ანუ ოქრო დაუბეღილი თვითო-თვითოსა**“. ჰოდა, თუ კავკასიონი საქართველოს სარტყელია, დარიალის ჭიშკარი რატომ არ იქნება მისი ბალთა?

მოზდოკის გზას დავადექი... გავიარე ჩვენი ცხვარ-მეცხვარეთათვის გასასვლელად ყველაზე ძველი უნნები: ქიტხეთა სამი სოფელი — ზემო, შავი და ქვემო ჰაალუკეში, სოფელი ეოზნსენსკაია, გავდიდ მოზდოკს და ჩავედი გადასარეკი ტრასის ცენტრში. ეს გასლავთ სტანიცა იშჩორსკაია ანუ, როგორც ქართველები ვუსმობთ, — იშორა...

სასაფლაოში ვისაფლეე. ხსენებული **სასადილო ყიზლარის ზამთრის საძოვრების ეკავშირის საცალო ვაჭრობის საწყების ობიექტია**. შესვლისთანავე ჩემი ყურადღება მიიპყრო ვეებერთელა მაგიარ-ვიტრინამ, რომელიც, ალბათ, წესრიგში იყო, მაგრამ ასორტიმენტის უქონლობის გამო არ მუშაობდა... შიგნით რაღაც სხვა ნივთები ეწყო, ვგონებ, შიფონერის მაგიერობას ასრულებდა... მზარეულებს ვერაფერს ვუსაყვედურებ — რაც გააწყდათ, ეციდნენ, ძალზე გემრიელად მოეშზდებინათ.

— ნამეტანს ნუ იზამ, ეგ ხალხი რაღაც არ მომწონს!..

ისე რომ, „ნეკნებდასათვლელი“ ოდესმე მოლეურჯო ქალმისაგან, მომშვენიერო, ეესცხარე მოჩანთხილოს მსგავსი უსასელო კერძით ამოვიფუფქე კუში.

ქალაქ ყიზლარის გადასახვევამდე მრავალი „ჯაბკური ტიპის სტანიცა გავიარე. ერთ-ერთი მათგანის დასაწყისში ძლივს შესამჩნევი, ფანერისაგან გამოჭრილი ასტარა მაჩვენებელი ისარიც შევნიშნე წარწერით: „**ლევ ტოლსტოის სახლ-მუზეუმი**“.

ასწლოვანმა ტყემ მისი გამშვებლები — ბაგრატიონები გამახსენა... სწორედ ამ მიდამოებში ცხოვრობდა ვანთქმული მხედართმთავარის — პეტრე ბაგრატიონის მამა... უფრო ადრე ამ მიდამოების გავლილი მიეშურებოდა მოსკოვისაკენ ქართველი მეფე ვახტანგ მეექვსეს... ამ მხარეში ერთი ძველი სოფელიცაა (რომლის შესახებ მსურს, ცალკე მოგახსენოთ, სხვა წერილში), სადაც დღესაც ქართველები ცხოვრობენ, რომლებიც ვახტანგ მეფეს აყილეებდნენ და რომელთაგ ბემმა ალარ აღირსა სამშობლოშიდე ჩამოღწევა!..

მეხსიერებაში ამოტივტივდა ერთი ძველი ჟურნალის („**წარსული წლები**“, **1910 წ. ივლისი — სექტემბერი**) შეკვეთილებული ფურცლები, სადაც ერთ-ერთი ავტორი ვ. ტ. გეორგიევსკი თავის წერილში — „**ივანე მრისხანეს და მისი სავაჭრეულოს ხატები სუზდალში**“ — მოგვითხრობს სუზდალის პოკროვსკის ქალთა მონასტერში შემოსახული რვა ხატზე: „**რომელთა შორის თავისი დიდებულებით და ძვირფასეულობით პირველი ადგილი განეკუთვნება ხაჭართველოს ანუ ივერიის ღვთისმშობელს... გადმოცემის მიხედვით ხსენებული ხატი თვით ივანე მრისხანეს შეუწირავს მონასტრისათვის ყაზანზე ლაშქრობისას... როგორც ჩანს, ამ ხატს ივანე მრისხანე განსაკუთრებულ პატივს სცემდა... ითვლებოდა სასწაულმოქმედად და მოოსვლელი იყო უძვირფასესად. 1597 წლის ალწერით, მასზე 225 სხვადასხვა ძვირად ღირებული საგანი ითვლებოდა... ხელწერის მიხედვით აშკარად იგრძნობოდა აღმოსავლელი ოსტატების ხელი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ხატი რუსული არაა და იგი ივანე მრისხანეს მოართვეს ან აითნის იერთა მონასტრიდან, ანდა პირდაპირ საქართველოდან...“**

ტყე ვასრულდა თუ არა, „ოიზეკინის და ქალაქ ყიზლარის ზზაკასაყარზე აღმოჩენილი. მარცხნივ, ვაკობზე, ბოშების ბანაკი შევნიშნე და გამიელვა: ნეტავ როდის დაისვენებს ბოშა და ერთ ადგილზე დასახლდება-მეთქი (ალბათ ქართველ კაცს იმიტომ სწყინს — „წყალი, მე ციგანო!“-ს რომ ეტყვიან, რომ ერთ ადგილზე, ერთ მიწაზე ცხოვრების მოყვარულია) და მარილეკა, ასე ადვილად რომ ვიყრბოდეთ და ვასახლებემოდეთ, დღეს ჩვენი ნატამალიც ალარ იქნებოდა..

ყიზლარიდან დაბა კოოზებიმდე 66 კილომეტრია. ორი კაბკური სოფელი გვეგიარეთ და კაფე „შეხვედრა“ („ავტერეჩა“) გამოჩნდა. ვისაადილეთ... ამ კაფეს ცა მისი მწვანის ფერიანი ნიანგებია ამოსულნო!..

და ა ი კოოზებეიც. ძველი ნავსადგური, სიიდანაც კასპიის ზღვა უკუქცეულა და ახლა ოც კილომეტრზეა. წინათ ამ ქალაქს „შავი ბაზრი“ ერქვა. ზუსტად ვერ გეტყვით, რომელ წელს გადაარქვეს სახელი, მაგრამ 1963 წელს გამოცემულ რუკაზა ძსოფლიო ატლასში „შავ ბაზრადაა“ წოდებული. ამგვარი არასასიამოვნო სახელი ერქვა იმიტომ, რომ უწინ იგი მონათა ვაჭრობის უდიდესი ცენტრი იყო...

დასახლება „ივერიაში“ ძალზე გაუხარდათ ჩემი ჩასვლა. ყველაზე ძალიან ბავშვებს უხარიდათ (რა კარგია ბალღობა, როცა ცხოვრებაში ერთი ციცქნა დანაშაულიც არ მიგიძღვის და არაფერი მიგიქარგავს!). ზოგიერთმა კი ამარიდა თვალი, — ზურგი შემაქცეიეს. მგონი ირონიულადაც ჩაიღიმეს — ნიანგი არა... ეგეა გვაკლდაოს!.. მე ისინი კარგად დავიმახსოვრე და მალე ნიანგის ცრემლებს ვაჩვენებ!..

მოვიარე მწყემსთა რამდენიმე ბინა. დამინახეს თუ არა, ბევრი საგულისხმო რამ მითხრეს: **უჭირთ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, დაობუნებული საცვლები, პერანგი, წინდა, ჩექმა... ნაბდის ხსნება ხომ საცილს იწვევს!..** მაშასადამე, თვალის ერთი გადაავლებითაც დავრწმუნდი, რომ სტეკების მაღაზიები ვერ უზრუნველყოფენ მწყემსებს!.. ახლა თვით კოოზებიაში მდებარე მაღაზია-სასადილოებს გადავხედე. მართალი გითხრათ, — გულის გასახარებელი ვერაფერი ვნახე!.. არადა, როცა სტუმარი გაკვეს, ერთ-ერთი ადგილი, სადაც დღეში სულ ცოტა ორჯერ მაინც უნდა მიიყვანო, სასადილოა, რადგან თუ სტუმარმა ფეხი ან კისერი არ მოიტეხა, საავადმყოფოში არ წაიყვანე... თუ სტუმარმა ტრაქტორიდან ჯაჭვირნება არ მოგთხოვათ, „საქმოდ-ტეხილას“ ორ ანეკდოტს ეტყვის, თუ ცხვრის დაკვლისა და ხისლის ტბორების ტრფიალი არ გაამდაგვანა, სასაკლაოში არ შეიყვანინ, თუ შარავი ან ფეხსაცმელი არ გაერეკვა, საყოფაცხოვრები კომბინატში არ შეიპატიჟებენ!.. მახლას, სტუმარს პური კი უნდა აჭამო!.. **რატომ უნდა დადიოდნენ საჭმელად ქართველი სპეციალისტები ადგილობრივი ვ. ნ. „დორტროოის“ სასადილოში?! ეს ხომ ჩვენი თავის მოჭრაა! ამა, წარმოიდგინეთ სასადილო, სადაც ნიანგის საკბილოოც კი არაფერი აღმოჩნდება!..**

კიდევ ერთი: აუცილებლად გადასახდია ამ ხუთი რაიონის ეკავშირის გაერთიანებათა მუშაობა, რომელებსაც ცხვარი დაუფიდნი ნოღაეთში!.. უნდა შემოწმდეს, როგორ ამარაგებენ თვითონ რაიონები თავიანთ მწყემსებს!..

ჩემი მოკითხველებო, ახლა ამ პირველ წერილში შეიძლება მეტიც მოვიგიდეგ, მაგრამ ბევრ მეტკინა ძალიან და ამიტომაც!.. ჯეკრხნობით ამით დაგემაყოფილდები... ერთს კი შეგპირდებით: უფრო დაწერილებით დღეს ამას ბევი შეგატყობინებენ აქაურ ამბებს, რადგან ახლა აქ ვრჩები და ამ ჩემი მოგზაურობის ამსახველ პირველ წერილს ფოსტით ვაგზავნი რედაქციაში.

დ. ჯუმალაური

ნახ. ვ. გაბარაევისა

— თქვენ გამოცდას რატომ არ აბარებთ?
— მე გამოცდას მინდორზე ჩავაბარებ!

არ დამივიწყო, დამირეკე!

იუმორესკა

— მაცალე, თუ კაცი ხარ, მე ავიღებ ბილეთს!
— ავიღე და ეგ არის!
— ქვეყნის ხურდები მქონდა!
— ავიღე უკვე!.. აგერ დავსხდეთ, განთავისუფლდა ადგილი!.. რასა იქ, როგორა ხარ?
— არა მიშავს, თქვენკენ რა ამბებია, საით გაგიწევია?
— დასარეკი მაქვს დიღომში და დიდუბეში მივდივარ!
— რაო, საბურთალოდან დიღომში არ ირეკება?
— ირეკებოდა, მაგრამ კარგა ხანია გაგვიწყრა დიღომი!.. ჩვენგან, ერთადერთი, ღრმა-ღელეში შეიძლება მოხვდე!..
— ჩვენგან გლდანის მასივში ირეკება მხოლოდ, მაგრამ რად მინდა, მანდ არავის ვიცნობ!.. ნუცუბიძის პლატოზე მინდოდა ამას წინათ დამერეკა, მთელი ქალაქი შევაწრიალე... თურმე ელიადან გადის მაგ მხარეს ზარი!..
— ეს კარგი გამახსენე! თუ იცი, ელიაზე როგორ მოხვდება კაცი?
— ელიაზე მე პირადად შაუმიანის ქუჩიდან ვრეკავ. ისე, გულახდილად უნდა გითხრა, საბურთალოს მეექვსე კვარტალმა გამაწამა, ვერაფერი გავუგე!..
— რა გაგება მაგას უნდა?! წადი თემქის დასახლების მეორე მიკრორაიონში და რეკე და რეკე რამდენიც გინდა საბურთალოს მეექვსე კვარტალში! თუ მეხუთე კვარტალი მოგინდება, სანზონაში გადადი, იქვეა, ყურისძირში!.. ერთი ეს მითხარი, ვაზისუბანს როგორ უკავშირდები?
— ვაზისუბანში მესამე მასივიდან ვრეკავ!.. როგორ აგიხსნა... როცა დაგჭირდება, მითხარი და წაგიყვან, გაჩვენებ მაგ ჯიხურს... ის კი არა, არსენას ქუჩას ვერ მივუდექი ვერსაიდან!..
— არსენაზე აბასთუმნის ქუჩის დასაწყისიდან ირეკება, ოღონდ ზუსტად არ ვიცი რომელ საათებში... ჩარგლის ქუჩაზე ცხოვრობს ერთი ახლობელი, როგორ მინდოდა შევხმიანებოდი...
— ჩარგლის ქუჩაზე კახეთის გზატკეცილიდან გადის ზარი, ოღონდ ხმა არ ისმის...
— ჯანდაბას მაგის თავი! დავრეკავ მაინც... ამასობაში ქე მოვსულვარ! აბა, ნახვამდის. არ დამივიწყო, დამირეკე ხოლმე!..
— თქვენთან საიდან ირეკება?
— ორთაჭალიდან! თქვენთან?
— ორხევიდან!
— აბა, კარგად!
— ნახვამდის!

ნოდადი ბართაია

დროის საგანძური

ყოველი წუთის ფასი
ცნობილი არის ოდით! —
სამუშაოზე მაინც
მავანი გვიან მოდის!

თუმცა შინიდან ადრე
გამოდის თურმე მუდამ,
შემხვედრს არ უშვებს ვიდრე
არ დაცლის ჭორის გუდას!..

ესოდენ დაუდევრად
რამდენ საგანძურს ფლანგავს!..
თავის ჭარტალა ენას
როდი ამოსდებს ლაგამს?!

რარიგ ღალატობს ხოლმე
თანასოფლელებს ამით,
რადგან საქმისთვის ზოგჯერ
გადამწყვეტია წამიც!

ჰოდა, რომ ლაყბობს ეგრე
და დროს ამაოდ აცდენს,
ვეღარ ასრულებს მერე
სავალდებულო კაცდღეს!

ამგვარ უქნარას, მართლაც,
ამის შეგნება მართებს:
სხვას და საკუთარ თავსაც
საჭირო დროს ნუ ართმევს!

ზოთა ამირანაშვილი

ჩვენი სტუმარია პოეტი ჯემალ ჩახავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრული შარჟი თ. გოგოლაძისა



თემა

უპირველესი არის თემა,
მერე კი — ლექსი!
ანალდებს მუზა შარშანდელს თუ
წლევანდელ ვექსილს!..
მამულზე დაწერ? — რა სჯობია
მამულზე ფიქრებს,
ან სიყვარულზე, ან ტრაქტორზე,
ან კიდევ იქნებ...
არის მრავალი თემა ქვეყნად,
არ უნდა ფიცი!
ყველა თემაზე ბევრი კარგი
ლექსები ვიცით!
ვიცნობ მაესტროს, ერთი თემის
ერთგულს მარადის,
და მას ქონებაც, ასე რომ ვთქვათ,
თავზე გადასდის!
„ვაშას“ ძახილით დაიტყავა
გულები ხელის,
ახალ პრემიებს, ახალ ბინებს
ელის და ელის!..
იცის, გაქრება მისი ლექსი,
ვით ფიფქი თოვლის,
ჭკუას გვასწავლის ტრიბუნიდან,
მნახველი ყოვლის!
ებღაუჭება უკვდავ თემას
მამულის ტრფობის,
რადგან მას ქვეყნად, რაც ჩვენ
გვყოფნის,
იგი არ ჰყოფნის!

არაკაცი

როცა უჭირს, ძმაა შენი,
თავს და ცოლ-შვილს გაბრალებს,
დაგაფიცებს დედას, მამას,
წინაპართა საძვალეს!...

განსაცდელს რომ მოიშორებს,
ლომი ხდება ნამდვილი! —
ავიწყდება, რომ უჭირდა
ამ უდღეურს ამ დილით!

დადის ასე გაფხორილი,
გუშინდელს სულ არა ჰგავს!
სხვისი ჭირი ღობის ჩხირად
მიაჩნია ა რ ა კ ა ც ს!..

ელიქვნელი

ღიმილით ეტყვის სალამს
უცხოს, უცნობს თუ ნაცნობს,
სიძულვილს გულში მალავს,
ერგება ყველა საცობს!..



ეს ძველი მოდის კაცი
ოჯახში არის მკაცრი,
რა გავაგრძელო ბევრი,
შიშით კანკალებს მრევლი!..

და მიაგორებს ასე
მრუდე ცხოვრების მარხილს!
როგორც წაკითხულ გაზეთს,
ისე უყურებს ხალხიც!

ანონიმს

ასისინებ გველის ენას,
ღამეები არ გძინავს!..
არწივს ჩიტად გადააქცევ,
ხან ჩიტს აქცევ არწივად!..

ცაცია ხარ, ღამითა წერ
ბოღმით, შურით, ხალისით!..
ხორცმეტი ხარ, თქმა არ უნდა,
უმაღლესი ხარისხის!

ყველას გინდა, ყელში ეცე,
დაფლითო და დაკაწრო!..
რა კაცი ხარ, როცა თავი
აღარ გინდა, გაგვაცნო?!

ცხოვრობ ასე ვირთხასავით
წინააღმდეგ კანონის,
ამიტომაც გეძახიან
სიძულვილით
ა ნ ო ნ ი მ ს!

მიმბაძველი

გუშინ, საღამოს,
საათის შვიდზე,
ძველ მოგონებებს
ვიხვევდი თითზე.

ღვიოდა ისევ
ბუხარში ჯირკი
და ვისსენებდი
მასხარას ცირკის,

რომელმაც ერთი
ათი წლის წინათ
მიბაძა ერთ-ერთ
განთქმულ აკრობატს

და მის ქელეხში
ეუსხედით სუფრას
ყველა ისინი,
ვინც აქ დაგვტოვა!..

ნახ. შ. ლელაძისა

— მართალია, რეკეზორი მქვია, მაგრამ მომიკვდეს თავი, თუ ვინმე გავიფუჭო!

მე ვარ მწვანილი!

ვინა ვარ? მე ვარ მწვანილი —
ქინძი, ბოლოკი, ტარხუნა!..
ვარდსაც კი შერით ავსებს,
ღმერთმა რაც ბედი მარგუნა.

ფასი მაქვს, მერე რა ფასი? —
ნაღდი ოქრო ვარ ყვითელი!
მელტვის დიდი და პატარა —
მყოდველი, გადამყიდველი!..

პატრონს სასახლე აუგია, —
ქოხი რომ ჰქონდა პაწია!
ზოგი სიზმარშიც ვერ ნახავს,
მის ცოლს რომ პალტო აცვია!

რაკი ფულებით ავავსე
(ეტყობა, კვაჭი კაცია!),
ხელად დიპლომი გაშანსა,
მერე კი — დისერტაციაც!

სასწაულს ვახდენ — ტომრებით
ბაზრაში შემოტანილი.
ოქრო ვარ, ნაღდი ოქრო ვარ
და მაინც მქვია მწვანილი!

ბიბიკო ხარაიშვილი

ილუსტრაციები ჯ. ლოლუაძისი

ვიცინოთ ერთად!

ქართული ხალხური იუმორი

— გიოგე, ვანმი ოქროს გვეი რომ უნახაო არქეოლოგებმ? — ეუბნება პარიკმახერი კლიენტს.
— კი, რავი არა!
— ახლა ოფრმე კაპიტანს ეძებენ!..

●

— აუ, ბიჭო, კიდო აციელა! ნაღდად უელია იცვი ბუეები მაგ უკიშოს!

●

— მოეი, ბიჭო, ახი, მოკუნილ ბიას რომ გიგავს მაგ თავი!..

— წეშად, ნუ ოვინეში! ქალეში ხსენან გეკრდიი.
— ქალს რა უნდა სტადიონზე? მოეი აკვანი და დაბეი სახლში!

●

— მომეი ბიჭო, ბერთი!
— მეიდა, დამოთარდება თამაში და ხელ შენი ოყოს!..

●

— ციუ! ციუ! ციუ! აუ! ეე! ტაქი, ტაქსი!
— ჯერარ! ჯერარ!
— მომეკიდე, რა!..

●

— ბიჭო, შენ რავა „ოდუელებიეი" იეელი მაგ პალტუხებმ?!.

●

ᲛᲝᲢᲐᲯᲣᲚᲘᲡᲘ ᲛᲝᲮᲣᲪᲘ — გამყიდველს:
— შენ დაგაბნია თავს ორი ფუთი ლაფი!
— ბაბე, მიგდენო თუ შეგიძლია, წამი „ეკეხანა" — ბეკუნება ზაზია, რომელიც ბოილდაგან ლეგან წრეპაგს.

●

ᲛᲝᲛᲐᲙᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲛᲐ— შვილს:
— დამელიეე, შვილო! არ გიტოვებ ვალს და არე ვანელ ქალს!..

●

ᲛᲔᲣᲜᲯᲔᲚᲘ — ᲯᲐᲜᲘᲚᲘᲐᲡ:
— წამოდი, ფეხბურთს ეკეკრთო!
— შეეშვიო, თუ კიეი ხარ! მაგენს ეკრბას „ხეარკაბ" ეკრბენ მორხეკენი!

●

ᲣᲛᲔᲜᲜᲘ ᲣᲙᲔᲕᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲡ:
— წუხელ ქორწილში პატარძალს თავლი ნაკეკარი და ამანაგ ნამიხეკენი. სიტ ეკმრნა. მერე მოელი ღამე კონტენპიანეთი ვაპაკეკენეები თვალს, სიტ რომ დაშეშვიდენინა.

●

ᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘ „ᲠᲐᲞᲝᲠᲢᲘᲡ" რეკეხაგ. ის გრძნობს, როგორ დამეინაკედ ეკეკრენს ახლოს მდგომი „ეოლეგის" პატრონი.
— ამ მანქანას რომ ეკეკრეს, თავიდან მაგხელი იყო, მარა ხეინრი რეკეხეთი დაპატარაკდა! — ეფეთქდა ეალეკია.

●

— როგორი ეამოკიდეკ სიდეკრი, ბიჭიკა?
— ნამეტანი კაი ქალია, მაგრამ ერთი ნაკლი აქეს — მაინე სიდეკრია!

●

ᲢᲐᲥᲡᲘᲡ ᲛᲫᲦᲝᲚᲘ — ეორიას:
— რა გიეკვარს, ეორია, ნაციეკეკული?
— შამპანერი და სიდეკრია!

●

ᲑᲘᲑᲘᲙᲘᲐ — ᲥᲔᲗᲘᲗ:
— რა საშუალება არ ეეცდე, ექიმო, მაგრამ ფეხეებზე უნიათენენ სუნი ვერ გავიკრ!
— დაბანა თუ გიდეხიათ?..

●

ᲥᲔᲗᲘᲐᲜᲘ ტყავის ლამაზზე ვაკრობენ უენიები და სპეკეკანები.
— წაიდეთ სახლში და ეწასოთ! ფასს რომ მირიგდენ, უენიები მილეკის თანამრრომლის სახეს იეეს ეკიმეკან.
— ლამარა, ლამარა! მოდი, გენაცვალე, რა სასტეო სტეკარი შეშეიტეკვე სახლშა! მოდი, სეფრა გაშალე! — არ ანბოლა სპეკეკანეი.

●

ᲑᲣᲠᲯᲣᲐᲜᲘ ᲝᲜᲔᲠᲐᲜᲘ. წარმოდგენა მიდის.
— შენი ჭირიმე, ნუ იზამ მაგ საქმეს, თუ კიეი ხარ, არ შეშოკრა! — მიეპარეს შურდუაია ვეეეიოლინეზე მზრარაშეწერებულ და ხელეშემარეულ დირიეორს.

●

— პაპაროსი გაქეს? — ეკითხება მანქანის პატრონ მიეტერიას ხერეკი.
— არა.
— შე კაეო, მანქანა რომ იყოდე, პაპაროსი ეეფარ იყოდე?

●

— ე, ბიჭო, ბოლო ფალეკე, ბოლო, საოჯალდებენეიო! ისე ნე წასვალ, თუ კიეი ხარ! — მიმდეკეს ს

ᲥᲜᲐᲠᲘᲙ ᲨᲐᲠᲛᲐᲖᲐᲜᲝᲕᲐ ცხოვრობს თბილისში, მშვიდობის ქუჩაზე. კარგა ხანია, დაემშვიდობა პატიოსან შრომას და სპეკულანტობაში ააყლერა ქნარი, მაგრამ ქ. შარმაზანოვას „შარიანი“ სტუმრები ეწვივნენ, 1062 მანეთიან საქონელს რომ 2000 მანეთად ყიდდა, მაშინ წაასწრეს და ბინაში სასპეკულაციოდ გადამალული ნივთები უპოვეს.

ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲐ ᲙᲝᲜᲓᲠᲐᲢᲘᲔᲕᲐ დიასახლისია, კარგად არის დახელოვნებული იმპორტული სიგარეტების ორმაგ ფასად გაყიდვაში. თავდაცვა-ავიაქიმიის ქუჩაზე სცადა მან თავი დაეცვა, მაგრამ მილიციის მუშაკებმა მისი „არალეგალური მაღაზია“ საიმედოდ დალუქეს (მათი ვალია, გამოააშკარაონ ვალია და მისთანები!)

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲙᲘᲙᲐᲑᲘᲫᲔ, ᲗᲔᲛᲣᲠ ᲠᲐᲖᲛᲐᲫᲔ. პაატამ თემურთან ერთად გატეხა ალალი ძმის — ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის მუშის ბინა. მაგრამ მათი ნამოქმედარიც მცირეგაბარიტიანი აღმოჩნდა. ძმის გამქურდავი ძმაკაციანად დააკავეს.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲗᲝᲤᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲔᲚᲐ ᲙᲐᲕᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲠᲡᲔᲜ ᲣᲚᲣᲛᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ—„შესანიშნავი სამეული“. ავთანდილმა გადინადირა ალგეთის საბჭოთა მეურნეობის პავილიონი, სადაც მებუფეტედ მუშაობდა, და მოინდომა უცებ გამდიდრება. — არსენ, თქვენი ვაჟკაცობა კუსტანაიში გამოჩნდებაო, — უთხრა არსენასა და გელას და უცხო ქალაქში მცხოვრები ნათესავის ბინას მიადგნენ გასაქურდად, საიდანაც 50 000 მანეთის ძვირფასი ნივთები გაიტაცეს.

ა. თოფჩიშვილი 12, ა. ულუმბელაშვილი 11, ხოლო გ. კავთელაშვილი 10 წლით „დაისვენებს“ მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში!..

ᲛᲣᲠᲗᲐᲖ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ — ადრე ნასამართლევი, კურორტ „ზეკარის“ პანსიონატში მუშაობდა, მაგრამ სპირტიან სასმელებს დაუმეგობრდა და საკუთარი ბიძაც არ დაინდო, ზურგში დანა ჩასცა და მის მანქანას ტყვიები დაახალა. ათი დღის შემდეგ კი ახალი „გმირობა“ ჩაიდინა — მოქალაქე ლ. ლ.-ძის ბინიდან ფული ისე წაიღო, თითქოს მისი ვალი ემართათ. მაიაკოვსკის სახალხო სასამართლომ ხუთი წლის ვადით გააგზავნა მურთაზი უფასო საგზურით ჭკუის სასწავლებლად.

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ, ᲨᲐᲚᲕᲐ ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲘᲐᲜᲘ, ᲨᲘᲮᲠᲐᲓ ᲒᲐᲒᲘᲔᲕᲘ, ᲘᲒᲝᲠ ᲐᲠᲣᲗᲘᲜᲝᲕᲘ — მოქალაქეებზე მონადირენი. ქუჩაში მეძებარი ძაღლებივით აედევნენ მოქალაქეებს — ვ-ს და კ-ს, სცემეს ორივენი, წააქციეს, პალტოები და პიჯაკები გახადეს, მაჯაზე საათები შეხსნეს და ნადავლიანად მიიმალნენ. საქარხნო რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა ოთხივე „მონადირის“ კვალს მიაგნეს და ნადირებადქცეულ არაადამიანებს ადამიანებისგან იზოლირება უყვეს. ამავე რაიონის სახალხო სასამართლომ ი. გურგენიძეს 6, შ. ავეტისიანს 5, გაგიევსა და ი. არუთინოვს ოთხ-ოთხი წლით მიუჩინა „მყუდრო ბინა“ ქონების კონფისკაციით.

ს. ხვამლელი



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲒᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘ

ალარ თავდება, ვატყობ,
„ორშაბათები“ მისი,
„სამშაბათს მოდი!“ — მისი
„პარასკევს მნახე!“ — მისი!..

ამ რეგვენს ათამამებს
მაგარი ზურგი სხვისი!..
რომ ვუთმენთ, ვაქებთ ამდენს,
ვართ უარესის ღირსი!

ᲘᲚᲘᲐ ᲐᲠᲝᲡᲘᲐ





ბალიკრეში

სკეტჩი

ინტელიგენტი: — კარგი, შენ ეს მითხარი, იცი, რა არის ნიორი?

გლეხი: — ვინა, ჩემო ძმაო, მე არ ვიცი, რა არი?! ნიორი თუ არ ვიცი, მა რა ვიცი?!

ინტელიგენტი: — მაინც?

გლეხი: — რა, მაინც?

ინტელიგენტი: — ბრძანეთ, რა იცით ნივრის შესახებ!

გლეხი: — სამასხარაო დრო სად არი, ჩემო ძმაო: თუ გინდა, იყიდე, არადა, აგე, რამოტენა ბაზარია, გამყიდველიც ბევრია და მყიდველიც. უკვე გითხარი, მე მაგას სხვა ფასად არ გავყიდი! ნიორი ნიორია!

ინტელიგენტი: — ჰოდა ,ჩემო კეთილო მეგობარო, მეც მაგას არ ვამბობ? დიახაც, რომ ნიორი ნიორია! ამიტომაც გთხოვთ უმორჩილესად, ბრძანოთ, რა იცით ნივრის თაობაზე!

გლეხი: — რას გადამეკიდე, კეთილო კაცო?! მე ის ვიცი ნიორზედა, რაც ყველამ იცის, არც მეტი და არც ნაკლები!..

ინტელიგენტი: — ბრძანეთ!

გლეხი: — ჯერ ერთი, რო ბოსტნეულია და უმაგისოდ ძნელად რო კაი კერძი გაკეთდეს...

ინტელიგენტი: — დიდებულია! მერე?

გლეხი: — მერე ისა, რო არც ერთი მწნილი უნივროდ არ იქნება.

ინტელიგენტი: — ნივრის მწნილი — მით უმეტეს! მერე?

გლეხი: — მერე ისა, კეთილო კაცო, რო ხაში უნივროდ იგივეა, რაც მანქანა უბორბლებოდ!

ინტელიგენტი: — მშვენიერია! სულ ეგ არის?

გლეხი: — მეტი რაღა გინდა, შე კაი ადამიანო?! რა, ცოტაა? იცი, რას გეტყვი?! თუ გეძვირება, თქვი და დავაკლებ, მეტი რა ვქნა!.. კილოს ათ შაურად ვყიდი, შენ ორმოცად მოგართმევ!

ინტელიგენტი: — დავაკლებო? პირიქით, მეგობარო, პირიქით!.. ახლა მე მოგახსენებ, რაც თქვენ არ გიბრძანებიათ ნივრის თაობაზე: გარდა იმისა, რაც თქვეს გვიბრძანეთ, ნიორი ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სოუსებში, სხვადასხვა სახელებლებში, იგი უხვად შეიცავს ვიტამინებს და აქვს ძლიერი ანტისეპტიკურ-ანტიბაქტერიული თვისებები! იცით თუ არა თქვენ, რომ ნიორი...

გლეხი: — სულ მუქთად გაგატან! რამდენი კილო გნებავთ?

ინტელიგენტი: — ახლა ის გავითვალისწინოთ, რამდენი შრომა სჭირდება ნიორს: დარგვა, მოვლა, მოსავლის ამოღება, დაბინავება... ერთი სიტყვით, ჩემი ღრმა რწმენით, თქვენ არ ითვალისწინებთ ამ უაღრესად სასარგებლო, აუცილებელი და საჭირო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის თვითღირებულებასა და მნიშვნელობას და შესამჩნევად შემცირებულ ფასად ყიდით. ეს კი ყოველად დაუშვებელია! ამით თქვენ შეიძლება იქამდე მიგვიყვანოთ, რომ მწარმოებლებმა საერთოდ შეწყვიტონ ნივრის მოყვანა. მოხდება ამ ძვირფასი პროდუქტის ინფლაცია და შედეგად — მისი გადაშენება! არამცდაარამც უფლება არ გაქვთ იგი გაყიდოთ ესოდენ იაფად!

გლეხი: — მა რამდენად უნდა გავყიდო?

ინტელიგენტი: — ხუთ მანეთად!

გლეხი: — კილოი?!

ინტელიგენტი: — დიახ, კილოგრამი! მეტადაც შეგიძლიათ, ეს პროდუქტი მეტსაც აიტანს!

გლეხი: — ნიორი კი აიტანს, მაგრამ თქვენი ჯიბე თუ აიტანს?! ეგრე ამბობენ, რომ თქვენისთანა ინტელიგენტები ხუთ მანეთს დღიურ გასამრჯელოს იღებს. ნიორში რომ ხუთ მანეთს მისცემთ, ცარიელა ნიორს შეჭამთ?

ინტელიგენტი: — რა ვუყოთ, მეგობარო! თქვენ არ ითვალისწინებთ, რომ კილოგრამ ნიორს ერთ დღეში ვერ შევჭამ ვერც მე და ვერც ჩემი ოჯახი. ერთი-ორი კბილი სრულიად საკმარისია... მე დაბეჯითებით გთხოვთ, ხუთ მანეთად მომყიდოთ!

გლეხი: — ვერ მოგყიდი, მე ქორვაჭარი და გადამყიდველი კი არა ვარ, პატიოსანი მშრომელი გლეხი ვარ!

ინტელიგენტი: — ვიცი, მეგობარო, ვიცი! კარგა ხანია ქორვაჭრებისა და გადამყიდველების ჭაჭანება აღარ არის ჩვენს საკოლმეურნეო ბაზრებში. ამ მხრივ იდეალური წესრიგია, მით უმეტეს, წესრიგი უნდა დამყარდეს ფასების სფეროშიც!

გლეხი: — რა ვქნა... ძმაო, ვერ მოგყიდი ხუთ მანეთად! თუ გინდა, ოთხმოც კაპიკად წაიღე!

ინტელიგენტი: — არავითარ შემთხვევაში! კაპიკს არ დავუკლებ!

გლეხი: — არ დაუკლებ და, მიბრძანდი, ბაზარი დიდია!

ინტელიგენტი: — ყველგან შენნაირი ჯიუტები არიან! ამიწონე ერთი კილოგრამი!

გლეხი: — ოთხმოცად?

ინტელიგენტი: — ხუთ მანეთად!

გლეხი: — არა-მეთქი, კაცო! ვაა, ეს ვინა ყოფილა? საქონელი ჩემია, მინდა გავყიდი, მინდა არა, ბიჭოს!

ინტელიგენტი: — გაიძულებთ!

გლეხი: — ვერაფერსაც!

ინტელიგენტი: — მილიციას! მილიციას! რას უყურებთ, როდემდის ავიტანოთ ამათი თვითნებობა?

ლერი ჩანტლაძე

წერილი სახლმმართველს

თბილისის ვაზისუბნის და თემქის დასახლების რამდენიმე კორპუსის მობინადრეები გაწუხებთ: ყოველთვის დროულად ვიხდით ბინის, სინათლის, გათბობის, ტელეფონისა და მეზობლებისთვის ჭირში თუ ლხინში შესაგროვებელ დაკანონებულ ჭირას!..

სხვისი საფოსტო ყუთიდან არ ვიპარავთ ჟურნალ-გაზეთებს (ზოგი ჩამოგლეჯილია და ახალ ფოსტას შიგ ვინ გაიჩერებს?).

არასდროს არ ვუჩხიკინებთ ელექტრომრიცხველს და არ ვმაიმუნობთ ელდენის მოპარვის გულისთვის.

ზამთრობით ცოლ-შვილი სიცივით გვეყინება, მაგრამ ხმას არ ვიღებთ, (რომც ამოვიღოთ, რა გამოვა?).

ჩვენს სახლს ჯერ რემონტი არ ღირსებია და კედლები მსოფლიო პოლიტიკურ რუკასავითაა აჭრელებული, მაგრამ ამაზედაც ენას კბილებს ვაჭერთ (მით უმეტეს, ენას ძვალი არა აქვს!).

სადარბაზოებში ელექტროგაყვანილობა გაშიშვლებულია და ვისაც როგორ უნდა, ისე იერთებს დენს!.. ჩვენ ჩუმად ვართ!

როდის და როგორ გააქვთ ნაგავი (ნახევარს რომ ეზოში ფანტავენ), გვისაყვედურებია თქვენთვის?

სახურავიდან რომ წყალი ჩამოდის, აბაზანასა და სამზარეულოში რომ მილები დაჟანგული და დამსკდარია, სინათლე რომ ხშირად ქრება, მოშლილი ონკანიდან რომ წყალი იპარება და ღამით ტაშტებით ვმორიგეობთ ოჯახის წევრები!.. ცოდონი არა ვართ?

ჰოდა, ახლა მაინც მოგვხედე: შე კაცო!

მობინადრეთა სახელით ვანო ცინცაძე

ნახ. მ. აბაშიძისა

— არ შეიძლება, ჩემს მაგივრად ჩემი ორი მოადგილე რომ შეჭამოთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიკრომაქინაცია

დაგეშავს და ახელებს
მიკრომაქინაციებს,
ხელცივს ისე აცხელებს,
როგორც ცხელ გულს აციებს!

ო ლ ო ნ დ

გვირგვინს დაფნა-იფნისა
იწნავს, ოღონდ გექო და...
ლექსში, გარდა რითმისა,
ყველაფერი შეჰქონდა!

კაკანათი

სტრატეგია არ გშურთ მათი? —
დათვს დაუგეს კაკანათი!

არა მგონი!

ძვალმსხვილი და კალამწვრილი
მოკლე ჭკუა (იგივ გონი!)...
სადღაც შეაქვს თავის წვლილი,
ვითომ შეაქვს? — არა მგონი!..

ე რ თ ხ ე ლ

ერთხელ მისი ორეული
ნახეს ლექსებმორეული.

ს ა დ?!

სულ ღლეტდა, კი არ გაჰქონდა,
კარგად იცოდა, ვინც იყო,
სიმაღლის შიშიც არ ჰქონდა, —
სად უნდა დაცემულიყო?!

აქვს ცნობა

დამშვენდა ლხინისკაცობა,
გენიოსია (აქვს ცნობა!)

სწორი იქნება?!

ღმერთმა მისცეს! — იფრქვევა
შინ ხვავი და ბარაქა,
მაგრამ სწორი იქნება,
თქვლეფას ჭამა დავარქვა?!

წაიმღერე!

არ ანაღდებ, რაც ნაღდია,
ეზო ხარ, რომ მიითალო?!
ეგ ყვირილი სახადია?!
წაიმღერე, ცოტა, ქალო!..

მეამაყება

არ დაიჯერო, დარდად გამყვება,
ვფიცავ ამ მიწას!
მე სილა შენი მეამაყება —
ლოყას არ მიწვავს!..

თ უ...

კაცი (თუ არ არის ღორი),
ლაფს გადუფრენს, როგორც ქორი!..

იცი, რით?

ყელყელაობ, იცი, რით? —
ფულიანი სიცილით!

ზაზა კაციაშვილი

ნახ. ჯ. ლოლუასი

— იქნებ თქვენ მაინც გქონდეთ ზოგი რამ წვრილმანი: მახათი, სანთელი, ლამპის შუშა, პატრუქი!..
— კარგი, კაცო, სულ ნუ დაწვრილმანდი ამოდენა კაცი!

ნახ. ვ. კუციასი



ოფიციანტი: გეთაყვა, აი თქვენი შეკვეთა!

21.II 1984
97



იანკის ფრაკი

პოლიტიკური ფელეტონი

საგარეო ანუ საზოგადოებაში გამოსასვლელი ფრაკით თავს დიდად იწონებს იანკი! ფრაკი უღრუბლო ცის ფერია და არც მდარეა, მისი პატრონიც, სხვა რამ არ გეგონოთ, მშვიდობისმოყვარეა, შვენის სისადავე ფრაკის ღილ-კილოს, სამხრე, სამკლავურზე მტრედი იკეცავს ბიბილოს.

ძლივს ჩაჭედილა ამ ფრაკში იანკი, აყრუებს მსოფლიოს ყვირილ-ლაპარაკით!..

ელანდება ზღვა ხალხი, ცხარე-ცხარე ტაში, მოდის ვოიაჟით, მოფრენს ევროპაში! მოდის ღიად, აშკარად, არა ინკოგნიტოდ, ინტერვიუს იძლევა, ფლიდობს, მიამიტობს: მწადია მშვიდობის საქმის შენებაო, მე მელოდება მთელი ქვეყანა!

იანკის ფრაკი ახალთახალია, პენი კი აქვს, მაგრამ ფუჭი კაკალია. გამოსასვლელ ლურჯ ფრაკს იქნებ სჯობდეს ძველი — თუმც სადაა, უბრალო, სარჩული აქვს ჭრელი. ხალხი ხედავს ჰენიანს, ნაკერ-ნაგვირისტევს, შიგნით კი, ვინ იცის, რამდენ ცოდვას იტევს?!.

ცხელა, ცხელა დარბაზში, ბოლმა ახრჩობს იანკის, — სულ სხვა მოძღვრავს ერებს, ასაქცევი არ არის, ოფლი მოსდით თავადაც კონდიციონერებს.

ვერ შეაკრთობ ატომით, რაკეტით და ტორპედით, შუქს ჰფენს დარბაზს სიმართლე საბჭოეთის „პოლპრედის"!

სცხელა, სცხელა იანკის და მაინც ყველა ღილზე შესაკვნილი აქვს ფრაკი, რადგან მის ქვეშ იმალვის ბევრი ფათერაკი.

ზის მრგვალ მაგიდასთან ფრაკიანი იანკი ბასრი აზრებითა და მახვილი ნიკაპით, ფრაკის მაღალ საყელოს ძირს ეწევა ნიკაპი, კეთილგანწყობილებით იღიმება ნიღაბი, რაც ნიშნავს, დამთავრდაო კიდევ ტაიმ-აუტი, შეგვიძლია დავიწყოთო დავა-მოლაპარაკების მორიგი რაუნდი!

დავისათვის მზადაა შეღილული ფრაკი, რომლის ჯიბეებში ასიგნება იმალვის, ასიგნება სამხედრო დოლარით და ფრანკით.

ღილს არ იხსნის იანკი და არც თავს გრძნობს მარტოდ, ძეწკვეე ჰყავს გამობმული ბრგე ნაგაზი — ნატო.

ფრაკის ძველი სარჩული არ გეგონოთ ჩითისა, ჩანს გალვანიზაცია განახლებულ მითისა:

„იარაღში ჩამჯდარა მოსკოვი თუ ბუხარა,
ყველა მხრიდან იგრძნობაო საბჭოური მუქარა!"

გამძლე სარჩულის სიჭრელეში დატივტივებს ჯვარი — მშვიდობის ბანაკზე „ლაშქრობის ჯვაროსნულის" აღმნიშვნელად ირევა ნატოს ჯარი.

საბჭოეთის დიდ ბანაკზე ითითხნება სხვა ჭორებიც: და მზადდება იქ დესანტი მაღლა ციდან, აქ საზღვაო ქვეითები — სემი ყველგან აგებს მახეს, რომ თავიდან აიცილოს „კომუნიზმის დიდი საფრთხე".

დიახ, ჯვარით იკურთხება რბევა, ძარცვა, მკვლელობანი, არის ნიკარაგუა თუ ჩადი, სალვადორ-ლიბანი!..

ყველგან, ყველგან სიკვდილია, ცრემლისა და სისხლის თქეში, სადაც პანამერიკული რეჟიმები დგანან ქვეყნის სათავეში!

სხვასაც ბევრს იტევს ყელამდე შესკვნილი, ფრაკის სარჩული ჭრელი, სიკვდილს ჰპირდებიან მსოფლიოს რაკეტა „მექს"-„მიჯიტმენი".

იარაღს ჭედავს, ბორგავს პენტაგონი, პროგრესის მტრობაში მთლად დაუკარგავს გონი. წვერწამახული რაკეტები ეძებენ სამიზნეებს — არსად, არც ერთ კონტინენტზე არა ჩანს მტერი. კოსმოსში ადიან „ჩელენჯერ" - „დისკავერი".

დიახ, მოიცავს კოსმოსურ სივრცესაც საბჭოური მუქარის მითი, „შატლის" ტიპის რაკეტებმა ორბიტაზე უნდა გაიტანონ საშიში სამხედრო ტვირთი!..

ანაზდად კრთება იანკი!..

ხალხით სავსე დარბაზი ფეხზე დგას აქ, ევროპაში, საბჭოთა „პოლპრედს" ხვდება ყველა გულთბილი ტაშით!

სცხელა, ხვითქში ცურავს მოლაპარაკების მრგვალ მაგიდასთან მჯდარი იანკი, მაგრამ მაინც მარტო ერთ ღილზე ვერ შეუხსნია ცისფერი, ბოდიში , კვამლისფერი ფრაკი!..

ელგუჯა მერაბიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" № 3 (1661). თებერვალი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, ნოდარ დუმბაძე, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია (მხატვარ - რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.

●

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუსალაშვილი

●

გადაეცა ასაწყობად 5. 1. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2. 2. 84 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 1,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,7. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14. შეკვეთა № 25. უე 01402 ტირაჟი 138.300. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

●

ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი-8 რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან - მემანქანის — 99-75-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 90 კაპიკი
ინდექსი 76137

ნახ. შ. ლელაძისა



„მისიონერი" იერუსალიმს მიემგზავრება!..

ნახ. მ. აბაშიძისა



ავბედითი სტარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა